ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1920 წ. იანვარი №. I

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წელიწადი მე-XVI № 1 იანვარი, 1920 წ.

მიმიღოცავს ახალი წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I. მომილოცავს ახალი წელი,—სურათი. 1

II. ახალი წელი,—ლექსი ი. სიხარულიძისა. 3

III. სანდროს მწყრები,—დ. კასრაძისა. 5

IV. შაშვი,—ლექსი შიო მდივანელისა. 13

V. მასწავლებელი მარო, (გადმოკეთებული)—ნ. ჟორჩიბაშვილისა. . . 14

VI. ბიძია ტიტიკო,—ლექსი გ. კოლელიშვილისა. 17

VII. კუდა-კუდა. არაკები—ხარი და მეურმე,—ილ. გოგიასი. . . . 18

VIII. ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი,—ბოგდანოვისა, გაგრძელება, თარგ. კაკისა. 19

IX. გასართობი: რებუსი. 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი.

ბავშვებს

ავშვებო, მალხაზებო,
გაიხარეთ, ილხინეთ,
ფრთა-მსუბუქო ჩიტებო,
იფრთხიალეთ, იფრინეთ!..

ახალი წელიწად
მსურს ყველას მოგილოცოთ
და წრფელ, ნათელ სახეზე
სათითაოდ გაკოცოთ!

გაიფურჩქნეთ, კოკრებო,
ლაღ სამშობლოს უბეში,
მომავალი თქვენ გეტრფის,
თქვენ ხართ ჩვენი ნუგეში!!!

ნორჩ სამშობლოს წალკოტი,
ჰა, ახლა იფოთლება,
ჰფეთქს ახალი ცხოვრება,
ფრთებს შლის თავისუფლება.

თქვენც ხარბად დაეწაფეთ
ახალ ყოფნის ნაკადულს,
ის მოგიკლავთ წყურვილს და
გაგიმტკიცებთ სულს და გულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა—ცოდნის ტრფიალი
ჩაიქსოვეთ ნორჩ გულში,
რომ უშიშრად ჩაებათ
დრო და ჟამის ფერხულში!!

ჩემი გულის სიმებო,
თქვენ მალხენთ, მასულდგმულებთ,
მომავალის მერცხლებო,
რა ლამაზად ჟღურტულებთ!!!

და მეც ახალი წელი
მისთვის მსურს მოგილოცოთ,
მოცისკროვნე სახეზე
სათითაოდ გაკოცოთ.

ი. სიხარულიძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის არ უყვარს მწყერაობა? მაგრამ სანდროზე ნურაფერს იტყვით! ისეთი მარჯვე ბიჭია, რომ რაც უნდა ფრთხილი მწყერი წამოუფრინდეს, სახრეს არ დააცილებს! მაგრამ ეს რაა! მას უყვარს უფრო ცოცხალი მწყრების დაჭერა. რა ბიჭობაა, მართლაც, ალალი თავზე დაგვფრენდეს, მწყერს შიშით გული გაუსკდეს და წამოფრენისთანავე ჯაგებს მიაშუროს, და იქვე ჩასთელო, ჩაჭკლა? საქმე ისაა—არც მეძებარი გეყოფდეს, არც ალალი და ლაღად წამოფრენილი მწყერი მაინც ცოცხალი დაიჭირო! ჰო და სანდროც სწორედ ამისი ოსტატი იყო: შვიდ მწყერში ერთისთვის რომ თავი წაეწყვიტნა, ორიოდე ფრთა-მოტეხილი იქნებოდა, ხოლო დანარჩენები სულ ცოცხალ-ცოცხალი.

— სანდრო, ე, ის ისეთი ბიჭია, რო...—გაიგონებდით თვით კბილაანთ ბიჭ ეფრასაგან, რომელიც მთელ სოფელში სასელ-განთქმული ბიჭი იყო ჭიდაობაში და ხელმარჯვეობაში. მწყერაობის ოსტატობა ეფრას დიდი სანია სანდროსთვის გადმოელოცნა.

***

აი, დღესაც მწყერაობის გუნებაზე ადგა. დილა-ადრიან მამისეულ ჭრელ თავშალში ბური გამოიხვია და ის იყო ეზოში გამოდიოდა კიდეც, რომ ასე უთენიებლივ მისმა ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძამ ცხენი შემოაჭენა. მთელი ოჯახი დაფაცურდა. გაიხარეს.

— სანდრო, ცხენს უნაგირი მოსადე, გეთაყვა, და ვენახში ამოვე.

— სანდრომ შუბლი შეიკრა, მაგრამ რა გაეწყობოდა: ცხენს უნაგირი მოჭხადა, მოაჯდა ზურგზე, აეყვანეყვალა და თან წიხლის შემოკვრით დაუძახა:

— აჩუ, ქვირო, შე სამგელე! ბალახს კი არა, შავ ქვასა და ნაცარს ცხელს გაჭმევ, შენმა გატიელებამ, აი!..

შემდეგ უკან მოიხედა და ბიძის სახელზე დაიგინა:

— მოგტეხეს ფეხი და ეგ კისერი, რაც შენი მოსვლა არ მინდოდა... აჩუ, შე გასაოხრებელო! აჩუ!

სანდრომ დაქადება აუსრულა: იმის მაგივრად რომ ცხენი ვენახში წაეყვანა, ჯერ უმიზნოთ გააქურაგა, ხან ალმართს შეუყენა, ხან დალმართს და არც შეასვენა, სანამ ოფლში არ გააცურა.

— მაშ რა ეგონა, ჭა?.—იმასოდა თავმომწონედ სანდრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამაცადონ, ისე გაგაძღო, რომ სულ ბუზები და კაჭ-კაჭები გესვევოდნენ.

***

ვინ იცის, იქნება სანდროს უკასასკნელი განზრახვაც შეესრულებინა, რომ ჰატარა გარემოებას არ გადაერჩინა საცოდავი ჰირუტუეი.

— ალალ! ალალ! ალალ!.

— წამოუარე, ბიჭო, წამოუარე!..

— მარჯვედ, შე თავმკვდარო, რა დაგემართა!.

— აი, დოვლათი...

— მერცხალა, მერცხალა!

ამ სმებზე სანდრო უკვე მისვდა, რაშიაც იყო საქმე. სწრაფად გადმოხტა ცხენიდან, იქვე გამსმარს ხეზე მიუკრა თავი და სახელდახელოდ გადაირბინა იქვე ნაწვერლებსა და ჯაგებში მორბენალ ბიჭებთან.

— ამათ მწყერაობა კიდეც გაუხურებიათ, კარგია!—სთქვა გუნებაში სანდრომ და შორიდანვე დაუძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ეგვლამ მხიარული სახე მიიღო, რომ ბან-დან-ნახეს: მერცხალამ ენის ქასქასით მიირბინა, ტოტებით შეახტა, შესწკმუტუნა და მის წინ ალერსიანად დაიწყო ბუჩქებში ძრომა; ალალმაც კი მისკენ იბრუნა ჰირი და მალე მისი ამსანაგებიც გაჩნდნენ მასთან: კახიანთ შაქრის ბიჭი ნიკა, ეფრა, სარდიონა, გოგიტაანთ ჭრელას ბიჭი მისაკა და ვინ იცის კიდევ ვინ არა!.

— საიდან, ბიჭო, სად იყავი?.

— მაშ რა გეგონათ, არ იცოდით, უჩემოდ ვერ იმწყერაგებდით?.

სთქვა თავმომწონედ სანდრამ და სმამაღლივ ძახილით გაეშვა ჯაგებისკენ:

— ნწა, მერცხალა!.. ალალ! ალალ! ალალ!..

* * *

სანდროს მოსვლამდე ალალი მეტად ზარმაცად იქცეოდა, კინაღამ გაექცა კიდეც. ახლა კი გამოფხიზლდა, შესაფერ მეტოქის დანახვაზე ფრთები და კლანჭები მოიმაძაცურა. ერთ საათსაც არ გაეგლო, და სანდრომ უკვე სიჩქარით სამს წაეწეოტა კისერი, ოთხი ცოცხალი დაიჭირა და ერთიც ზედ შეაზე გაჭვლიჯა. ნაშუადღევზე უფრო გახურდა მწყერაობა. დალოცვილები, ბუზებსავით ირეოდნენ. გაკაპასებული ალალი სან სად დაატრეპოდა, სან სად. მაგრამ სანდრო რის სანდრო იქნებოდა, რომ მისთვის მწყერები დაენებებინა. სისხლიან კლანჭებში დაღუჭულს ისე სტაცებდა, რომ ერთხელაც არ უწყენინებია გახელებულ ფრინველისათვის.

* * *

საზოგადო ეიქინსა და ძახილზე მზეც საკმაოდ გადაიხარა, თავმობეზრებულ ალალსაც მოეწყინა და უკვე ცას გაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრა გასაფრენად, მაგრამ საკვლაოსთვის მოძღურავი რომ ეტყო-სტუმრა სანდროს: იმასაც უწილადა ერთი მსუქანი მწვერი და ახლა ოლეს ქვეშ თავი მოუყარა ამხანაგებს მწვერების დასაყოფად. ყველას ხუთ-ხუთი მოკლული არგუნა, ორ-ორი ცოცხა-

ლი. თვითონ კი შვიდი მოკლული დაიტოვა და ექვსი ცოცხალი. ღვთის წინაშე, არავის სწყენია სანდროს ასეთი განაჩენი. ნასიამოვნები გაემართნენ შინისკენ და სანდროსაც მხოლოდ ახლა გაახსენდა სადღაც გადამხმარ კვერნაკზე მიბმული ბიძის ცხენი.

* * *

საბრალო ჰირუტეკს ჩიჩვირი ჩამოეშვა და თვალებს საცოდავათ აბრიალებდა. ბუსები უხვად დახვეოდნენ. სანდროს რომ თვალი მოჭერა, კუდის ქნევას მოუმატა, ხვიხვინით ხეს გარშემო შემოუარა და, რაკი თოკი დაუმოკლდა, უმწეოდ მოჭდა თავის კანტურს.

— რაო, ქვირო, რა ამბავი სწერია შენს გაზეთში, ჭა? გადაიკითხე? რასა სწერენ? გერმანიამ გაიმარჯვა თუ ინგლისმა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სვი-სვი-სვი!..

შეჭსვისვინა საცოდავად ცხენმა.

— ჭა, რაო? ვინ გაიმარჯვეო? კარგად მითხარი, რა ეწერა გაზეთში?.

როგორც იყო, იბრალა და ახსნა გამხმარი ხიდან. ცხენმა წყვა დაიწყო, ჩქარობდა, რომ სადმე ბუჩქს მაინც მისწდომოდა ნეკერის ჩასაკნატუნებლად.

— კარგია, ერთი, ქვირო, რა გაჩქარებს, ე გაზეთი ხომ იკითხე. და ამალამ ვახშამსაც მოგართმევ! ღმერთმანი, ამ მწერების ბუმბულს სულ შენ დაგიერი! არა გჯერა? აი, დაგაჯერებ! იცი რა, ცოცხალსაც და მოკლულსაც სულ გაზიდინებ!.

ამ სიტყვებზე ფაფარი ჩამოუშალა და კისერზე მოკლული მწერები აჭკუნწლა. ცხენმა ყურები სქვიტა. არ ესმოდა, ასეთი შეკაზმულება რას მოასწავებდა..

— მოიცა, ქვირო, ნუ ჩქარობ-მეთქი!

სანდრო თვითონვე ჭსარობდა თავის გამოგონებაზე. ადგა და ახლა ცოცხალი მწერების ჩამოკიდება დაიწყო შუბლის ქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩორზე. ცხენი ფრუტუნს მოჰყვა. სანდრომ შეუტია. ორთავემ გაძალიანება დაიწყეს. სანდრომ ორი მწერის ჩამოკიდება მოასწრო, რომ ცხენმა გაიწია, თავი აჰკრა და ეალეზე შემდგარმა იმდენად ფერი აცვლევინა სანდროს, რომ ვერც კი შეჰნიშნა დანარჩენი მწერები როგორ გაუფრინდა ხელიდანა.

— ჰა, შე სამგელე, შენა! რა მოგიყვიდა, შე გასაოსრებელო!

დასჭყეიფლა სანდრომ და თავი მაგრად გამოსწია, მაგრამ ცხენის დაოსება აღარც აგრე ადვილი იყო: აფრთხიალებულმა მწერებმა სულ გადაჰრიეს, ეალეზე რამდენჯერმე შესდგა, გაჰქონდ-გამოჰქონდა, აისოწიალა სანდრო, და ვინ იცის რითი გათავებულიყო საქმე, რომ სანდროს დროზე ხელი არ გაეშვა.

* * *

თიოქმის შუადამე გადავიდა. სანდრო შიშით ვერ ჰბედავდა შინ მისვლას. მთელი სოფელი შეინძრა, ყველა საძებნელად გამოვიდა, ამსანაგებმა არ გასცეს, სადაც ნახეს, ან სად დასტოვეს. ბოლოს, როგორც იყო, მიაგნეს.

— სადა ხარ, ბიჭო?.

სანდრო გატეხილა.

— რა ენა ჩაგივარდა, რა იქენ, სად იყავ, ან ცხენი რა უყავი?

სანდრომ ტირილი მორთო.

— რა უყავი? მე რა ვიცი, რა უყავი... მგელი გამოვარდა და დამიფრთხო...

— მერე?

— მგელი ცხენს გამოეკიდა...

ზოგმა დაიჯერა, ზოგმა არა.

— დედა არ მომიკვდება, ზიარების მადლმა, მგელმა დამიფრთხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრომ ტირილს მოუმატა:

— ისეთი დიდი იყო, ცხრილის ოდენა თვალები ჰქონდა...

ამასობაში მაძებარებიც მივიდნენ კიდეც. ყველას ჰირკატა ეცა. სხვა მხრით წასულ სოფლელებს ცოცხალ-მკვდარი ცხენი მოეყვანათ, რომელიც ოფლში გაწურულიყო, თვალებს საცოდავათ აბრიალებდა და ერთიანად კანკალებდა. მათ უკვე შუბლიდან და კისრის ფაფარიდან ჩამოესხნათ მწერები.

— კაცო, რა საკვირველებაა, იძახოდნენ ისინი: ყველა ყველა, მაგრამ ვინ იჰეიტრა და ე მწერები ვინ შეაბა ამ უბედურ ცხენს.?

ყველანი სანდროს მიაჩერდნენ, რომელმაც თავი დაჰღუნა და უსიტყვოდ მოჰყვა ღრიალს..

— დედა არ მომიკვდება... ზიარების მადლმა...

მაგრამ ვინ რას დაუჯერებდა.? მამა-მისი უკვე იფნის სახრის ძებნაში იყო და ვინ იცის, როგორ აუჯრელებდა ზურგსა და კანჭებს, რომ დედას არ ებრალნა და კრუსსავით თავზე არ გადაჰფარებოდა თავის დაუდეგარ შვილს...

დ. კასრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შაშვი.

ამთარ-ზაფხულ ჭალებში ვარ,—
მე სიტურფე მომწონს მათი,
არც მიდგება ცხენის ძუა,
არც ბავშვების კაკანათი.

და სოფლად რომ ჩამოვიდე,
მე არცერთი არ ამცდება;
ვინც ებმება მათ მახეში—
ტყუვდება და დიდად სცდება.

რა სჯობია ჩემს ჭალა-ტყეს,—
საჭმელი მაქვს ულეველი,
ზამთარშიაც აქა ვრჩები,
გაზაფხულსაც აქვე ველი.

ვინც სამშობლო მიატოვა
და საზამთროდ გადაფრინდა,
ამისთანა წასვლა-მოსვლას
არც ვნატრულობ, და არც მინდა!..

შრო მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მასწავლებელი მარო.

�რო ერთობ ცუდ გუნებაზე დაბრუნდა დღეს სასწავლებლიდან.

— დედა შინ არის?—ჰკითხა მან მოახლეს.

— არა, შინ არ ბრძანდება! ქალბატონი და ვანიკო ეს იუო გავიდნენ სასლიდან. ბატონი კი ჯერ არ მობრძანებულა სამსახურიდან. მიბრძანდით სასადილო ოთახში, ახლავე საუზმეს მოგართმევთ, ეავაც მზად გახლავთ!

— არაფერიც არ მინდა!—გაჯავრებით უპასუხა მარომ და გაიარა თავის ოთახში.

— ღმერთო ჩემო, რა უბედური ვარ!—წამოიძახა მარომ, როცა მარტო დარჩა, და თვალთაგან ცრემლები გადმოსცვიედა.

მან მიაგდო აბგა, და საწოლზე დაემხო.

— არავის არ უყვარვარ! სუყველანი ცდილობენ მაწყენინონ... მასწავლებელი ხომ მოსვენებას არ მაძლევს, დღეში ასს შენიშვნას მიკეთებს; დღეს კიდევ მთელი კლასის წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შე დამიწეო ჯავრობა: ,,თქვენ გაკვეთილებს არ ამზადებთ, არც კი ირჯებით, რომ ჩაიწეროთ, თუ რა გაქვთ მოცემული მოსამზადებლად! მუდამ რაიმე გაკლიათ: ხან კალამი არ გაქვთ, ხან რვეულს არ მოიტანთ, ხან წიგნი შინა გრჩებათ! მაგრე მეცადინეობა შეუძლებელია“! იტირა, იტირა მარომ, და ჩაეძინა. სძინავს მაროს და ჭსედავს, რომ ვითომც ჰატარა მარო კი არ არის, არამედ მასწავლებელია. კლასში სსედან ოცდაათამდის მოწაფე, და მან—მასწავლებელმა—უნდა დაუწერინოს მათ, ამ ჰატარა გოგონებს, დიდი და ძნელი კარნახი. თუ კარნახი ცუდათ იქნა შესრულებული, მას, მასწავლებელს, მოელის დიდი უსიამოვნება სკოლის უფროსისაგან.

მასწავლებელი მარო ცდილობს, რაც შეიძლება მკაფიოდ უკარსანოს, თითქმის თვითო ასოს ეუბნება ბავშვებს, მაგრამ მოწაფეები ცულლუტობენ და კარნახს ეურს თითქმის არაფინ უგდებს.

ერთი ჰატარა ქალი რაღაცას ჭსატავს, მეორე ქალალდის რგოლებს სჭრის, მესამე მოსრდილი ქალი წამოძსტარა, მისულა თაეის ჰაწია დასთან და ეველა ასოს ეუბნება.

— მე კიდევ მოვასწრობ, მე ძლიერ მარდად ვწერ!—ეუბნება იგი მასწავლებელს.

— ქალბატონო მარო, ფანქარს წვერი მოძიტუდა,—იძახის ერთი.

— ქალბატონო მარო, მე რვეული შინ დამავიწუდა!—წამოდგა მეორე.

— ქალბატონო მარო, მელანი არ მოძიტანია, რითი ვწერო?—აცხადებს მესამე.

— ქალბატონო მარო! მასწავლებელო!—იძახიან ეველანი. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას. დრო კი მიდის, და კარნახი დაუსრულებული რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარო ტელავს... ცდილობს მოაგვაროს საქმე, მაგრამ ამაოა..

უცებ რაღაც ხმაურობაა... მარო ცივი ოფლით შუბლზე გაასველს თვალებს.

— რა ამბავია, მარო, რა გატირებდა, ხომ არა გტკივა რა, რატომ დაწოლილხარ დღისით?—ეკითხება ალერსით დედა.

— ოჰ, დედა, რა ძნელი ეოფილა მასწავლებლობა!—წამოიძახებს მარო.— ახლა მე ვეცდები არასოდეს აღარ დავიწყო რა, ოორემ ჩვენ ამდენი დრო ტეუილუბრალოდ დავკარგეთ!

ამბობს მარო და უამბობს დედას თავის სიხმრებს.

ნ. ყორჩიბაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიძია ტიტიკო.

ბიძია ტიტიკო,
მითხარი ვინ იყო,
რომელმა იცელქა—
მომპარა იზიკო?

აქ იჯდა კუკებში,
ლამაზად შვენოდა;
ხან ლეკურს უვლიდა,
ხან ტკბილად მღეროდა.

ვიშიმე, რალა ვქნა!...
ბიძია ტიტიკო,
მითხარი, გენაცვა,
აქ ქურდი ვინ იყო?

ნეტავი იცოდეს
ტიკინამ საწყალმა,
რომ ქურდმა კუკებში
ლხინი არ აცალა?

ნეტავი იცოდეს...
რომ ვეძებ-ვსტირივარ,
დავკარგე საწყალი,
დაკარგულს ვჩივივარ.

მითხარი, გენაცვა,
ბიძია ტიტიკო,
მე ვინ დამილონა
ტიკინა იზიკო?

რა არის ქურდობა,
ან ვისი ბრალია?
რომ მოვსპოთ ქურდობა —
რა სანუკვარია!

ბიძია გულდასმით
უსმენდა—ჰკვირობდა...
ქეთო-კი მოთქმითა
იზიკოს სტიროდა.

გ. კოლელიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუდა-კუდა არაკები.

ხარი და მეურმე.

ერს ჯერ მინდვრიდან ურმით ჭირნახული ასიდვინეს როცა ჭინახულს მორჩნენ, ჩალისა და თივის ზიდვას შეუდგნენ. ხარს ტვირთი ემჩალტა. ეგონა, გულკეთილ პატრონს შევებრალე და შრომა შემიმსუბუქაო. უნდოდა მადლობა მოეხსენებია კეთილი ადამიანისათვის, მაგრამ ჯერ მაინც ცნობის მოევარეობით ჰკითხა:

—რატომ აქამდე იმდენ ტვირთს უდებდი ურემს, რომ წელში ვწუდებოდი, ასლა-კი ასე მგონია, ცარიელ ურემს დავარახრახებო?

—იმიტომ, ჩემო კარგო, რომ დღემდე ჩემს სასრდოს ვეზიდებოდი, დღეიდან-კი შენსასაო.—უპასუხა პატრონმა.

—მერე რას ნიშნავს ესო?—ჰკითხა ისევ ხარმა.

—იმას, რომ შენ ზამთარში შეიძლება კუჭიც მჩალტეთ გაქნეს, ამით არა დაგიშავდება-რა; ჩვენ-კი, ადამიანები ამას ვერ ავიტანთო.

ხარი ჩაფიქრდა და გულ დაწყვეტილმა მიუგო:

—შე დალოცვილო, ჩემი შრომაც-კი გენანება ჩემთვისაო? მე მირჩევნია მაძღარი ვიყო და მუდამ მძიმე ტვირთი ვზიდო, ვიდრე ცარიელი კუჭით ცარიელი ურემიო.

ილ. გოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანჭველის საოცარი თავგადასავალი *).

IV.

ქალაქი განსაცდელშია.

მხიარული დასვენება. — პირველი ამბავი მტრის შესახებ. — ჭიანჭველების სასოწარკვეთილება. — წითელ-ულვაშას საქციელი. — შეტაკება. — გამარჯვება.

ბილი და ნათელი დილა იყო. მუშაობისგან საშინლად დაღლილი ვიყავით. ზოგიერთები ისე გაერთნენ მუშაობაში, რომ არაფერი არ უჭამიათ. მაგრამ ძალღონე რომ არ გამოლეოდათ, გამდლები მიირბენდნენ ხოლმე მათთან და აჭმევდნენ. იმ დღეებში ბევრი რამ გავაკეთეთ. მოვიტანეთ ტეიდან ვეებერთელა კუნძები, ნამის წიწვი, ფოთლები. სუფველაფერი ზედა ქალაქში ავიტანეთ და თავ-თავის ადგილას დავაწყვეთ. ჩვენი ქალაქი შესამჩნევად გადიდდა: მოემატა რამოდენიმე ქუჩა და მოედნები. ბოსლისკენ ახალი გზა გავაკეთეთ. მრავალი ჭიანჭველა შეიკრიფა ზედა ქალაქში. დიდი მოძრაობა იყო. ჩვენ სიამოვნებით ვისვენებდით მზეზე. გამდლებმა ამოიყვანეს ბავშვები, მოიტანეს კვერცხები და ჩვენს გვერდით დააწყვეს. დედებიც კი მზეზე თბებოდნენ. მუშებმა ფრთხილად ამოიყვანეს ისინი ზევით. საშინელი მუშაობის შემდეგ დაშვიდებული გულით

---

*) იხ. „ნაკადული“ 1919 წლ. № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემხიარულობდით. მარტო წითელ-ულვაშა გვაკლდა: საწყალი, ჯერ კიდევ ავად იყო. ამასაც უნდოდა ალბად მზეზე გათბობა, უნდოდა მიეღო მონაწილეობა ჩვენ მუშაობაში, მოხიარე ეოფილიყო ჩვენ მხიარულობაში. ჭერკულესიც ჩვენთან არ იყო, სადღაც წასულიყო. წავედი მის საძებნელად. ჩემდა სასიამოვნოდ დავინახე, რომ ჭერკულესს ამოეყვანა წითელ-ულვაშა ზევით, დარაჯივით თავს ადგა და უვლიდა. მე საშინლად გამეხარდა.

ჩვენი ქალაქი შესამჩნევად გადიდდა

—შენც აქა ხარ, წითელ-ულვაშა! ჩვენი ნამუშავარის სანახავად მოსულხარ?

—დიახ, ვხედავ, ბევრი გიმუშავიათ ჩვენი ქალაქისთვის. მე კი არაფერი დახმარება არ შეძლია. ცუდად არის ჩემი საქმე, ჩემო ცეტო! საშინელი ტკივილი მტანჯავს. თქვენ ვერაფერში, ვერაფერში ვერ გამოგადგებით. მე მეტი ბარგი ვარ თქვენთვის. სჯობია, ძმებო, გადამაგდოთ; დაე ფრთიანმა ვეშაპებმა დამიგლიჯონ ეველასათვის უსარგებლო სხეული!—და ეს რომ სთქვა, საწყალი წითელ-ულვაშა მთელი ტანით ათრთოლდა.

—რას ამბობ, წითელ-ულვაშავ! ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია შენი გამოკვება? იცოცხლე, რამდენიც გეცოცხლება. ვინ იცის, იქნება შენც ოდესმე გამოგვადგე. შენ აქ წოლა გაწყენს: მეტის მეტად ჭეელავ. წამოდი, შინ წაგიყვან.

ავწიე და ოთახში ჩავიტანე... ის იყო ისევ ზევით უნდა ამოვსულიყავ, როცა დავინახე, რომ ჭერკულესი სწრაფად მორბოდა ჩემკენ. საშინელი აღელვებული იყო. რაღაცას მეუბნებოდა ცეისი ულვაშებით. ვიგრძენ, რაღაც საშინელება უნდა მოხდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—უბედურებაა, ცეტო, უბედურება! ჩვენ ქალაქს საფრთხე მოელის.

—რაო? რა მოხდა?

—წითური ჭიანჭველები, ეაჩალები, თავდასხმას გვიპირებენ. დავიღუპეთ. ბავშვები გადავარჩინოთ!

მალე მთელმა ქალაქმა გაიგო საშინელი ამბავი. სუეველამ საბავშო ოთახში მოიყარა თავი ფუმფლების და კვერცხების წასაღებად. მაგრამ ჩვენ წითელ-ულვაშამ გაგვაჩერა. დიდი მადლობა იმას! ის ქვედა სართულში იწვა.

—სად მიდიხართ? ხომ არ გაგიჟებულხართ! რამ შეგაშინათ? ადით ზევით და მტერს დაუხვდით. ეველანი დაიხოცენით, და მტერს ქალაქი არ გაამარცვინოთ. აქაურობას კი მე, უფეხო, გამდლებთან ერთად მოუვლი: ბავშვებს გადავარჩენთ,—მიწაში, კარგ საფარში დავმალავთ. თქვენ კი, მონადირეებო, მტერს დაუხვდით. შენ, ჭერკულესო, და შენ, ცეტო, ქალაქი უნდა დაღუპვას გადაარჩინოთ.

—დიახ, დიახ, თქვენ უნდა გადაარჩინოთ!—ეკივლნენ ლედოფლები.

—თუ საჭირო იქნა,—დაიხოცენით, მაგრამ მტერს ხელში კი არ ჩაუგდოთ თქვენი ბავშვები,—დაიყვირა ათრთოლებულმა წითელ-ულვაშამ.

არ მოველოდი სიკვდილის ჰირად მომდგარ მიმმისაგან ამდენ ძალ-ღონეს, და მეც დავიყვირე:

—ვისხნათ ბავშვები, ჩვენი სამშობლო, ან დავიხოცნეთ!—და მე და ჭერკულესი ზევით გავიქეცით.

იქ საშინელი აურზაური იყო: სუეველა სადღაც გარბოდა, ერთმანეთს ეხეთქებოდა და უთავბოლოდ ეკივლოდა. სუეველამ გონება დაჰკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც კი სჩანს, თქვენ კი უკვე შეგეშინდათ. ჯერ ვნახოთ, ვის აჯობებს. ჩვენ სარდლებად ამოგვირჩიეს!

ჩვენი ლაშქარი ორ ნაწილად გავყავით: ერთი ჩემი წინამძღოლობით წინ უნდა წასულიყო, მეორე კი, ჰერკულესის მეთაურობით, უნდა დარჩენილიყო ქალაქის დასაცავად. გამოვედით ჩვენი ქალაქიდან. ჩემი ლაშქარი დიდძალი იყო: წინ გზის მაჩვენებელი ეულაოზი მიდიოდა. ამან დაინახა ჰირველად წითური ჭიანჭველები და იცოდა, სად იყვნენ ახლა ისინი. ჩვენ მივდიოდით ჩქარის ნაბიჯით, ჩვენი გზით. ეს გზა ჩემ დაბადებამდე გაეკეთებინათ: კუნძებისა და ფოთლებისაგან გაწმენდილი იყო. ამ გზით დავდიოდით ხოლმე სანადირო ჩვენ საყვარელ ადგილებში. მშვენიერი სასიარულო გზა იყო. იმ ადგილის ახლოს, სადაც წითელ-ულვაშა დაიჭრა, გამოჩნდა მტერი.

თავსარი დამეცა, როცა დავინახე წითური ჭიანჭველები, ტანით ჩვენზე დიდები, მათი საშინელი თავები, საიდანაც ორ-ორი დიდი ხმალი ბრჭყვიალებდა. ისინი ერთობ მწყობრად მოდიოდნენ, როგორც გამოცდილი ჯარის-კაცნი, ლაშაზად დარაზმულნი. ყველა მეოცდაათე ჯარის კაცს გვერდით ოფიცერი მოსდევდა. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა დავინახე, რომ იმათ სწორედ ის ჭიანჭველა მოუძღოდა წინ, რომელიც ჩვენ ქალაქში იყო და ჩვენი კეთილი გულით ცოცხალი გაუშვით.

მე საშინლად გავბრაზდი.

—ასე გადაგვისადე სამაგიერო იმ სიკეთისათვის, რომ ცოცხალი გაგიშვით? სიკვდილი ჯაშუშს! მომყევით ბიჭებო! და მე ვეცი მტერს. ჩემთან ერთად მთელი ჩემი ლაშქარიც. ამნაირად გადაეღობეთ მტერს ჩვენი საშობლო ქალაქის გზა. საშინელი შეტაკება მოხდა. საუბედურო დავინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხე, რომ ვიღუჭებოდით. მათ დიდ თავებსა და მაგარ შუბლს ჩვენმა იერიშმა ვერაფერი აგრძნობინა; ჩვენ კი ძრაველად ვწუდებოდით. თანდათან ჩვენი რიცხვი მცირდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ მაგრად ვიბრძოდით. ბოლოს დავინახეთ, რომ უსათუოდ დავიხოცებოდით. ის იყო უკან დახევა უნდა მებრძანა, როდესაც მოირბინა ჩემი შიკრიკი და სასიამოვნო ამბავი მოიტანა:

—ჰერკულესი თავისი ლაშქარით ჩვენ საშველადმოდისო!— მომახსენა მან.

—რას ამბობ? ნუ თუ!

—მართლა, მართლა!

—ვაშა, ძმებო! წინ! არ ჩამოშრჩეთ! ჩვენდა მოსაშველებლათ მოდიან!—დავიყვირე მე.

რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდა ჰერკულესი დიდძალი ჯარით.

გაორკეცებული ძალით თავს დავესხით მტერს

ძლიერი ურა გაისმა ორსავე ლაშქარში და გაორკეცებული ძალით თავს დავესხით მტერს. როცა წითურებმა დაინახეს ჩვენ დამხმარე ჯარი, მისვდნენ, რომ ველარ გაარღვევდნენ ჩვენი რაზმს მაშინათვე შედრკნენ, უკან დაიხიეს და უკუ იქცნენ. ჩვენც აღარ დავედევნეთ უკან.

—ვაშა! ჰერკულესო, რა კარგ დროს მოგვისწარი, უშენოდ დავიღუჭებოდით! მაგრამ როგორ დასტოვე ქალაქი დაუცველი? ვინ იცის, იქნება ვინმე ბოროტმოქმედი (განა ცოტა მტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ნუ სწუხხარ, ცეტო, იქ სხვა ლაშქარი იცავს ქალაქს.

—ლაშქარი? საიდგან გაჩნდა ლაშქარი?

—წითელ-ულვაშამ გააჩინა. რა კი დაინახა რომ ბავშვები საშშვიდობოს არიან, დასტოვა მათთან რამოდენიმე კაცელი, სხვები კი დაუჯერა, რომ ზევით ამოსულიუვნენ ქალაქის დასაცველად. მე კი შემომითვალა, რომ თქვენდა მოსაშველებლათ წამოვსულიუავ. მე უარის თქმა არ შემეძლო და მაშინვე გამოვილაშქრე.

—ვაშა! ვაშა! წითელ-ულვაშავ! სუეველა იმან ისსნა განსაცდელისაგან. არ გასწირა არც საშშობლო ქალაქი, არც ჩვენი ბავშვები! გავიქცეთ სახლში და მოვეხვიოთ წითელ-ულვაშას! გაისმა ეიქინი მთელი ჩვენი დიდი ლაშქრისა.

სუეველა შარა გზით გავიქეცით შინ, თან დაჭრილებიც წავიეეანეთ.

(შემდეგი იქნება) კაკი.

რებუსი.

(წარმოდგენილი გიორგი ნადირაშვილის მიერ)





ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1920 წ.

წლისათვის

დასურათებული
საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“

(წელიწადი მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების საძინისტროსაგან. გამოდის გეოგრაფიულ პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ.
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯელ.

წლიურად ორივე გამოცემის ფასი	150	მან.
ცალ-ცალკე.	85	„
ნახევარი წლით	90	„

მისამართი: თბილისი **„ნაკადულის“** რედაქცია, რუსთაველის (ეოთვალი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—5.